საბერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია

ოქმი № 3377 ათენი, 17/30 – 12 – 2024

საშობაო ეპისტოლე

2024

**„ყოვლითურთ განხორციელდა საშოსა შენსა
ყოვლად-წმინდაო ქრისტე ღმერთი,
და იშვა უთესლოდ, ვერ თავს-მდებელი
ხელითა თჳსითა შექმნულისა მაცთურისაგან ტანჯვად,
მოვიდა ხატითა მონისათა ხილულად
ხსნად კაცთა ნათესავისა“**

**(ღვთისმშობლისა, 2-ე კანონი, ცისკარი წმინდა ნიკოლოზისა,
გალობა 6, თვენი. 6 დეკემბერი)**

ქრისტეს მიერ საყვარელნო მამანო და ძმანო,

ღმერთი სიტყვა, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მამა ღმერთის კეთილნებელობითა და სულიწმიდის მოქმედებით თავისი ღვთაებრიობის დაუმცრობლად „ყოვლითურთ“ გარდამოხდა ყოვლადწმიდასა საშოსა შინა მარადქალწულისა მარიამისასა და „დაემკვიდრა ჩვენ შორის“(იოანე 1,14).

რადგან ღვთაებრივი „მოწყალების წიაღს“(ლუკა 1, 78) არ შეეძლო აეტანა ბედკრული, მაცდური ეშმაკის მიერ უპატიო-ქმნილი და მისი სასტიკი ტირანიის ტყვეობაში ჩავარდნილი ღვთივქმნულისა და პირველ პატივდებული ადამიანის ტანჯვა.

ღვთის სიყვარულმა, რომელიც უზომო და უსასრულოა, ხორცი შეასხა ღვთაებრივი სიბრძნისა და ძალის წინათდასახულებას განახლებისას, უბადლოსა და შეუდარებელს თავისი დიდებულებითა და ღვთივბრწყინვალებით.

სარწმუნოების სიმბოლოში ჩვენ ვაღიარებთ, რომ ძე ღვთისა „ჩვენთვის, კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის“ გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხნა „სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა“.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო ღმერთის რაიმე ლოკალური გადანაცვლება

და გადაადგილება, არამედ ღვთაებრივი გარდამოსვლა. სიტყვამ, თავისი ღვთაებრიობის შეუცვალებელად მიიღო ის, რაც მანამდე არ გააჩნდა: გახდა კაცი და ადამიანებთან ერთად ცხოვრობდა დედამიწაზე. ღმერთკაცმა ქრისტემ თავისი ღვთაებრივი დიდება ხორცის საფარველ ქვეშ დამალა, რომელიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ მარიამს დაესესხა.

ღვთაებრივი სახიერების ეს უნიკალური სასწაული სრულიად გარდაგვემატა - ჩვენ მხოლოდ კეთილკრძალულებით და მადლიერებით თაყვანისვცემთ მას. ყოველი ქმნილი გამოუთქმელ მადლიერებას შესწირავს, ჩვენ კი ჩვენი - კაცთა მოდგმის დიდებასა და ქებას, „დედასა ქალწულს“ მივუძღვნით, ჩვენ სიხარულს, მხიარულებას, ნუგეშსა და სასოებას!

ქრისტეში, ბეთლემის ღვთაებრივ ყრმაში თავიდანვე ხაზგასმით ვლინდება ღვთაებრივი და კაცობრივი კონტრასტები, გონებამიუწვდომელი საიდუმლოებანი ღვთაებრივი განგებულებისა: **სიმდაბლე დიდებაში, ტანჯვა სიხარულში, სიკვდილი სიცოცხლეში!**

* * *

საყვარელნო ძმანო,

სწორედ ასეთია ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები აწ უკვე განახლებული კაცობრიობის თითოეული მორწმუნე წევრისა.

ასეთივე იყო ღვთისმშობელ ქალწულ მარიამის განმასხვავებელი ნიშნებიც, მდაბალი და წმინდა ქალწულისა, რომელი იქმნა „ცად და ტაძრად ღვთაებისა“.

ამ ურთიერთსაპირისპირო ნიშნებით ხასიათდებოდნენ არა მხოლოდ მოციქულები, არამედ ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტი წევრები, რომელთა შესახებაც შესანიშნავად თქვა მოკლედ წარმართთა დიდებულმა მოციქულმა პავლემ: „დიდებითა და გინებითა, გმობითა და ქებითა; ვითარცა მაცთურნი, და ჭეშმარიტნი; ვითარცა უცნაურნი, და საცნაურნი; ვითარცა მოსიკუდიდნი, და აჰა ესერა ცხოველ ვართ; ვითარცა სწავლულნი, და არა სიკუდილდნი; ვითარცა მწუხარენი, და მარადის გვიხარის; ვითარცა გლახაკნი და მრავალთა განვამდიდრებთ; ვითარცა არარაჲ გუაქუს, და ყოველივე გუაქუს“(2 კორ. 6, 8-10).

თუკი ყოველივე ეს გარკვეულწილად და რაიმე სახით არ იქცევა ჩვენს პირად გამოცდილებადაც, ჩვენს პირად ისტორიად, ჩვენს პირად საიდუმლო ჯვარ-აღდგომილ ცხოვრებად, მაშინ ჩვენ არ წარმოვადგენთ ქრისტეს ნამდვილ მოწაფეებს და არც ღვთაებრივ განკაცებას ვდღესასწაულობთ სინამდვილეში. თუკი ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ კაცობრივ, ისტორიულ, წეს-ჩვეულებით, ფსიქოლოგიურ, ემოციურ, კულინარიულ, ტურისტულ, რომანტიულ

და ა. შ. დღესასწაულობის დონეზე და არ შეგვიძლია გულწრფელად გავიმეოროთ ზემოხსენებული წმინდა სამოციქულო სიტყვები, როგორც მომცველი ჩვენი არსებობისა და ქრისტიანული ცხოვრებისა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არაფერი გვსმენია ჭეშმარიტი შობის შესახებ, როგორც ეს, სამწუხაროდ, ნომინალურად ქრისტიანულ სამყაროში ხდება უმეტესად.

* * *

საყვარელნო ძმანო,

უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის ჩვენი ერთადერთი მხსნელი და მაცხოვარი. მან არარსობიდან არსობაში მოგვიყვანა, რათა მისი ნიჭების მოზიარენი, მისი ცხოვრების თანამონაწილენი გავხდეთ, „მსგავს მისა“(1 იოანე 3,2), მადლით განღმრთობილნი, ჩინებულნი მასთან „ზიარებასა“(1 კორ. 1,9), მარადის „კურთხეულნი“(მათე 25,34) მის დაუსრულებელ მეუფებაში.

მაცხოვრის ღვთაებრივი შობით და მისი გამომსყიდველი ვნებით ყოველივე ეს უკლებლივ ყველა ჩვენგანს გვებოძა. მოდით, საღმრთო ნიჭებსა და მოლოდებას სხვა ნურაფერზე გავცვლით ამ ხრწნადობისა და სიცრუის სამყაროში.

მტკიცედ ვსდგეთ რწმენასა და სათნოებებში, რათა ჩვენი მიწიერი ცხოვრების დასასრულამდე უცვალებელ სახელმძღვანელოდ გვეპყრას მოციქულთაგან ნამცნები: „მღვიძარე იყვენით, მტკიცედ დეგით სარწმუნოებასა ზედა, მხნე იყვენით და განძლიერდით; ყოველივე თქუენი სიყუარულით იყავნ“(1კორ. 16, 13-14); „და ღმერთი მშვიდობისაჲ იყავნ თქუენ თანა“(ფილ. 4,9). **ა**მინ!

ქრისტე იშვა!

წმინდა სინოდი
მთავარეპისკოპოსი ათენისა და სრულიად ელადისა
† კალინიკე